საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (II წარდგენა) თანდართული ინფორმაცია

2022 წლის ნოემბერი

სარჩევი

1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები ---------- 3
2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალური წესებთან შესაბამისობა ---------- 6

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება ---------- 7

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან ----------13

3. მთავრობის ვალი ---------- 16

1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები

წინამდებარე ინფორმაცია მომზადდა „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან ერთად და წარმოადგენს 2021 წლის ბოლოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით“ წარმოდგენილ საშუალოვადიან ეკონომიკურ და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებთან შედარებით ანალიზს.

2021 წელს, პანდემიური წლის შემდეგ, ეკონომიკურმა ზრდამ 10.4 პროცენტი შეადგინა, რაც ასევე 2.9 პროცენტით აღემატებოდა 2019 წლის მაჩვენებელს. გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური გარემო და სწრაფი V-სებრი აღდგენის ფონზე 2021 წლის პროგნოზით 2022 წელს ეკონომიკური ზრდა 6 პროცენტზე იყო მოსალოდნელი. 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდგომ, საქართველოში გაჩნდა რისკები რიგი უარყოფითი შოკების რეალიზებისა. რის გამოც, მიუხედავად 2022 წლის პირველი კვარტლის მაღალი ეკონომიკური ზრდისა, პროგნოზების გადახედვა 2022 წლის განმავლობაში მხოლოდ სექტემბერში განხორციელდა.

2022 წელი საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდით დაიწყო, პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 14.9 პროცენტი შეადგინა, რაც გარკვეულწილად ასევე განპირობებული იყო დაბალი საბაზო ეფექტით. რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, უარყოფითი მაკროეკონომიკური რისკების რეალიზება არათუ მოხდა, არამედ პირიქით, უკრაინიდან, ბელარუსიდან და რუსეთიდან შემოსული ტურისტების/მიგრანტების ფონზე საგრძნობლად გაიზარდა ფულადი გადმორიცხვები და ასევე სწრაფი ტემპებით აღდგა ტურიზმის სექტორი, რამაც კერძო მოხმარების ხარჯზე ეკონომიკური ზრდა დააჩქარა. შედეგად, მეორე კვარტალში ზრდამ 7.1 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის პირველი შვიდ თვეში კი, წინასწარი მონაცემებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 10.3 პროცენტით გაიზარდა.

დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ 2022-2025 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების წინასწარ პროგნოზებში 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განახლდა, თავდაპირველ დოკუმენტში ის 6.0% შეადგენდა, რომელიც სექტემბერში განახლებული 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტის პროგნოზების მიხედვით გაიზარდა 8.5 პროცენტამდე. ასევე, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული პროგნოზების საბაზო სცენარში 2022 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზმა 8.5% შეადგინა, ხოლო 2023 წლის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5%-ს გაუტოლდა. საბაზისო სცენართან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც განსხვავდებიან სხვადასხვა რისკის რეალიზაციის ალბათობებით, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკაზე დადებითად და უარყოფითად, შესაბამისად.

წარმოდგენილ ცხრილებში 2023-2026 წლების ძირითდი მიმართულებებით გათვალისწინებული პროგნოზები შედარებულია 2021 წლის დეკემბერში წარმოდგენილ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით გართულებულია ეკონომიკური აქტივობების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, მოსალოდნელია უარყოფითი ეფექტების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მატერიალიზაციის რისკი, თუმცა ამავე დროს, არსებულ (იანვარ-აგვისტოს) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში შეინიშნება ტურიზმისა და გზავნილებიდან მოსალოდნელზე მაღალი შემოდინებები და ეკონომიკური ზრდის დაგეგმილზე კიდევ უფრო მეტი პოტენციალი (იანვარ-ივლისის საშუალო ზრდა 10.3 პროცენტს შეადგენს). არსებული ფაქტორების

გათვალისწინებით, ეკონომიკური ზრდის საშუალოვადიანი პროგნოზები არ განსხვავდება 2021 წლის დეკემბერში წარმოდგენილი პროგნოზისაგან, თუმცა გლობალურად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების ფონზე და იანვარ-აგვისტოს ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გაზრდილია ფასების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელები და შეცვლილია საგარეო სექტორთან დაკავშირებული ინდიკატორები.

ცხრილი №1. ძითითადი ვარაუდები და დაშვებები

	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	10.0%	6.0%	5.5%	5.2%	5.2%	
ახალი პროგნოზი	10.4%	8.5%	5.0%	5.2%	5.2%	5.0%
სხვაობა	0.4%	2.5%	-0.5%	0.0%	0.0%	
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	8.0%	4.5%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	10.8%	10.5%	5.0%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	2.8%	6.0%	2.0%	0.0%	0.0%	
საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, %						
წინა პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	14.7%	13.7%	12.7%	11.7%	10.7%	
ახალი პროგნოზი	15.6%	14.6%	13.6%	12.6%	11.6%	10.6%
სხვაობა	0.9%	0.9%	0.9%	0.9%	0.9%	
საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	8.7%	8.2%	7.7%	7.2%	6.7%	
ახალი პროგნოზი	9.8%	9.3%	8.8%	8.2%	7.7%	7.2%
სხვაობა	1.1%	1.1%	1.1%	1.1%	1.1%	

ცხრილი №1 გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილში შეტანილია 2021 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. 2021 წელს ეკონომიკური ზრდა ნავარაუდევზე 0.4 პროცენტული პუნქტით მაღალი აღმოჩნდა, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების მოხსნის შემდეგ პერიოდში ეკონომიკის მოსალოდნელზე მაღალი აქტივობით. 2022 წლის ახალი საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება წინა წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს, რაც გამოწვეულია მოსალოდნელზე მაღალი საგარეო და ასევე მთლიანად ეკონომიკური აქტივობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდა ხასიათდება აღდგენის სწრაფი ტენდენციით.

გაზრდილია მშპ-ს დეფლატორის, როგორც 2021 წლის ფაქტობრივი, ასევე 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებიც, რაც გლობალური ინფლაციური ტენდენციების შედეგია. აღნიშნული მნიშვნელოვნად არის გამოწვეული ნავთობსა და ნედლეულზე მომატებული ფასებით, რასაც თან ახლავს მიწოდების ჯაჭვების რღვევის გამო ინფლაციაზე საბაზისო სცენართან შედარებით მაღალი გავლენა. არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც შეუძლებელია უკრაინიდან პროდუქციის მიწოდება, ხოლო რუსეთის მიმართ დაწესებულია სანქციები, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ფასებზე. მაღალი ინფლაციური მოლოდინები აისახა საპროცენტო განაკვეთებზეც. ზოგადი ფასების დონის და მათ შორის მშპ-ს დეფლატორის ცვლილების შედეგად, შესაბამისად გადაიხედა ნომინალური მშპ-ს პროგნოზებიც.

ცხრილი №2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

(მილიონი ლარი)	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	მოსალ	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ნომინალური მშპ-ის წინა პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	58,528.9	64,832.4	70,450.2	76,337.0	82,715.7	
ნომინალური მშპ-ის ახალი პროგნოზი	60,231.6	72,215.3	79,617.4	86,270.2	93,479.0	101,097.5

ცხრილი №2 გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს პროგნოზების ცვლილებას საშუალოვადიან პერიოდში. 2021 წლის ნომინალური მშპ-ს ფაქტობრივი მნიშვნელობა მშპ-ს წინა პროგნოზს (2021 წლის დეკემბერი) აღემატება. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია რეალური მშპს-ს მოსალოდნელზე მაღალი რეალური ზრდით, ასევე მშპ-ს დეფლატორის მოსალოდნელზე მაღალი პროცენტული ცვლილებით. ამასთან, ზოგადი ფასების დონის ზრდის შედეგად, 2022 წელს 2021 წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით გაზრდილია მშპ-ს დეფლატორის პროგნოზი. ასევე, მიმდინარე ტენდენციებისა და დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე 2022 წლის რეალური მშპ-ს ზრდის ახალი პროგნოზი აღემატება 2021 წლის პროგნოზს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაზრდილია ნომინალური მშპ-ს პროგნოზიც, როგორც 2022 წლისთვის, ისე საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

ცხრილი №3. ნაერთი ბიუჯეტი

(მილიონი ლარი)	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	მოსალ	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლების ძველი პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	14 928,0	17 205,0	18 228,0	19 732,0	21 266,0	
შემოსავლების ახალი პროგნოზი	15 142,7	18 676,0	20 202,0	22 076,0	23 794,0	25 704,0
ცვლილება	214,7	1 471,0	1 974,0	2 344,0	2 528,0	
მ.შ. გადასახადები	109,0	1 266,0	1 759,0	2 054,0	2 218,0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	19 376,0	20 432,0	20 437,0	21 911,0	23 445,0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	19 358,2	21 399,0	22 743,0	24 224,0	26 102,0	28 047,0
ცვლილება	-17,8	967,0	2 306,0	2 313,0	2 657,0	

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია №3 ცხრილში. როგორც ვხედავთ, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები გაზრდილია, რაც ძირითადად გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის განპირობებული. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ზრდა ძირითადად უკავშირდება ნომინალური მშპ-ს პროგნოზის ზრდის მიმართულებით გადახედვას, ასევე ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელს, მისი პროგნოზებიც გაზრდილია 2021 წლის დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების, სოფლის მეურნეობისა და მწარმოებლური სექტორების დაფინანსებასთან ერთად, მოწყვლადი ჯგუფების (ბავშვების) სოციალური დახმარებების ზრდას.

2023 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტის მოცულობა 2 265,0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 2,8%-ია. საშუალოვადიან პერიოდში მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებლები წინა პროგნოზთან შედარებით მოცემულია №4 ცხრილში:

ცხრილი №4 საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტი:

% მშპ-სთან	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
2022-2025 წლების წინა პროგნოზი	-9,3%	-6,7%	-4,4%	-3,0%	-2,7%	-2,5%
2022-2025 წლების ახალი პროგნოზი	-9,3%	-6,1%	-3,2%	-2,8%	-2,3%	-2,3%

ცხრილი №5 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიში	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**
(მლნ აშშ დოლარი)	**ფაქტი**	**მოსალ**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**
მიმდინარე ანგარიში - ძველი პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	**-1,529.0**	**-1,580.0**	**-1,500.8**	**-1,520.7**	**-1,351.5**	
ცვლილებები სულ	**-351.7**	**-97.1**	**-366.4**	**-183.3**	**-251.1**	
წმინდა ექსპორტი	-261.3	-487.1	-1,053.7	-1,122.5	-1,414.0	
პირველადი შემოსავალი	-269.2	-28.3	158.7	358.2	539.5	
მეორადი შემოსავალი (ტრანსფერები)	178.8	418.2	528.7	581.0	623.5	
მიმდინარე ანგარიში - ახალი პროგნოზი	**-1,880.7**	**-1,677.1**	**-1,867.2**	**-1,704.0**	**-1,602.6**	**-1,446.7**

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, საპროგნოზო მაჩვენებლები გაუარესებულია 2022-2025 წლებში, რაც შიდა მოთხოვნის მოსალოდნელზე სწრაფი ტემპით ზრდას უკავშირდება. შიდა მოთხოვნის ზრდა ქმნის მაღალ მოთხოვნას იმპორტულ საქონელზეც. საშუალოვადიან პერიოდში გაზრდილია მეორადი შემოსავლები, რის საფუძველსაც ტრანსფერების ბოლოდროინდელი დინამიკა ქმნის.

მიმდინარე ანგარიშის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია ერთის მხრივ წმინდა ექსპორტით, რაც ძირითადად საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ზრდას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ კი ტრანსფერების საპროგნოზო მაჩვენებლები დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით უფრო მაღალია.

2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალური წესებთან შესაბამისობა

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება

ახალი კორონავირუსის პანდემიამ 2020 წელს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგად რეალური ეკონომიკის შემცირებამ 6,8% შეადგინა. ეკონომიკურმა ვარდნამ გამოიწვია შემოსავლების შემცირება და ამავდროულად, პანდემიის საპასუხო ღონისძიებებისთვის საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების გაწევაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის ვალი და მშპ-ს 60%-ს გადააჭარბა, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 9,3% შეადგინა.

ეკონომიკური რეცესია 2021 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა და რეალური ეკონომიკა 4,1% შემცირდა, თუმცა მეორე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკის აღდგენის პროცესი დაიწყო. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები, რის შედეგადაც 2021 წელს ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 10,4% შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელი გახდა 2020 წელს მიღებული დანაკარგის სრული აღდგენა და 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის დონე 2,9%-ით გაიზარდა.

2021 წელს ეკონომიკის აღდგენის პარალელურად შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია, კერძოდ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 6,1%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 50%-იან ნიშნულს.

2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 6%-იანი რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 64,8 მლრდ ლარს შეადგენდა. ამავდროულად, კვლავ მაღალი იყო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი და მშპ-ს 4,4%-ს შეადგენდა.

2022 წელს კვლავ გაგრძელდა მაღალი ეკონომიკური ზრდა. აგვისტოში ეკონომიკურმა ზრდამ 10,5% შეადგინა, ხოლო 8 თვის მონაცემებით რეალური ეკონომიკური ზრდა კვლავ ორნიშნა მაჩვენებლით არის და 10,3%-ს შეადგენს.

მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 8,5%, ხოლო ნომინალური მშპ-ს პროგნოზი შეადგენს 72,2 მლრდ ლარს. მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა დაგეგმილთან შედარებით 700,0 მლნ ლარზე მეტით შემცირებული ვალის აღება, შედეგად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 3,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 40%-ს.

აღნიშნული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ 2 წლიან პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია, რამაც შესაძლებელი გახადა ვალის მაჩვენებლის პანდემიამდელ დონეზე შემცირება.

2023-2026 წლების საშუალოვადიან პერიოდში ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ შედარებით კონსერვატიულად არის დაგეგმილი და ამავდროულად გრძელდება ფისკალური კონსოლიდაცია, კერძოდ:

- რეალური ეკონომიკური ზრდა შენარჩუნებულია 5%-ის ფარგლებში.
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2023 წელს 5%-ს შეადგენს, ხოლო შემდგომ წლებში პროგნოზირებულია 3%-ის ფარგლებში;
- 2026 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 101,0 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 9 500 დოლარს გადააჭარბებს;
- საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები პროგნოზირებულია მშპ-ს 23,4%-ის ფარგლებში;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს მშპ-ს 2,1%-ის, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 36,9%-ის ფარგლებშია.

საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები

2021 წლის განმავლობაში დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, წლის განმავლობაში განახლდა მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები. 2021 წელს ორჯერ განხორციელდა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილება. პანდემიის თანმდევი ეკონომიკური შეზღუდვების მინიმიზების პარალელურად და ვაქცინაციის დაბალი ტემპის პირობებში, ვირუსის გავრცელება შენარჩუნდა საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე, რამაც დღის წესრიგში დააყენა როგორც დაავადებულთა მკურნალობის ხარჯების, საწოლების მობილიზების, ასევე ტესტების, ვაქცინის შესყიდვასთან და გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ხარჯების, პანდემიის მართვაში ჩართული სამედიცინო პერსონალის დანამატების ანაზღაურების, ასევე ვაქცინაციის მოცვის გაზრდისთვის წამახალისებელი პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო სახსრების დამატებით გათვალისწინება. ასევე, გათვალისწინებულ იქნა პანდემიიდან გამომდინარე, სოციალური მხარდაჭერის და ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები.

2022-2025 წლების პროგნოზები, რომელიც მომზადდა 2021 წლის ბოლოს ნაწილობრივ კვლავ დაიგეგმა პანდემიის ფონზე და გათვალისწინებულ იქნა 2020 წელს შემოსავლების ფაქტიური დანაკლისის ეფექტი. 2021 წლის გადასახდელების ნაწილის ზრდის მიუხედავად სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-თან მიმართებაში და 2021 წლის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6.2%.

2022-2025 წლების პროგნოზში (2021 წლის დეკემბერი), ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 2022 წელს მშპ-სთან მიმართებაში 26.5% შეადგინა. შემოსავლების პროგნოზები პანდემიის პირობებში 2020 და 2021 წლებში დაიგეგმა უფრო ნაკლები მოცულობით, თუმცა არსებული დადებითი ტენდენციებიდან გამომდინარე მიმდინარე წლის ივლისში ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების დროს განახლებულ პროგნოზებში 2022 წლის შემოსავლები და ხარჯები გაიზარდა ნომინალურ გამოხატულებაში. განახლებული პროგნოზები აისახა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების დროს, მიმდინარე წლის ოქტომბერში.

2023 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 20 202,0 მლნ ლარს შეადგენს. 2022 წლის ივლისის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 059,0 მლნ ლარით. მშპ-სთან მიმართებაში

2023 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 25,4%-ს შეადგენს და საშუალოვადიან პერიოდის პროგნოზებში შენარჩუნებულია იგივე პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში.

შემოსულობების პროგნოზების შედარება და მშპ-სთან პროცენტული ცვლილებები მოცემულია №6 ცხრილში:

ცხრილი №6 - შემოსულობების პროგნოზები

მლნ ლარი/

დასახელება	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**
	ფაქტი	**ფაქტი**	**პროგნოზი**	**პროგნოზი**	**პროგნოზი**	**პროგნოზი**	**პროგნოზი**
შემოსავლები							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	12 407,0	14 579,0	16 490,0	18 052,0	19 530,0	21 114,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	12 407,0	14 928,0	17 205,0	18 228,0	19 732,0	21 266,0	
ცვლილება	*0,0*	*349,0*	*715,0*	*176,0*	*202,0*	*152,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	12 407,0	15 142,7	17 923,0	19 149,0	20 566,0	22 167,0	23 867,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	12 407,0	15 142,7	18 676,0	20 202,0	22 076,0	23 794,0	25 704,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*753,0*	*1 053,0*	*1 510,0*	*1 627,0*	*1 837,0*
არაფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	207,9	480,0	250,0	250,0	250,0	250,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	207,9	480,0	450,0	250,0	250,0	250,0	
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*200,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	207,9	421,7	450,0	250,0	250,0	250,0	250,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	207,9	421,7	450,0	350,0	250,0	250,0	250,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*0,0*	*100,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*
ფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	167,4	210,0	115,0	115,0	115,0	115,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	167,4	210,0	130,0	130,0	130,0	130,0	
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*15,0*	*15,0*	*15,0*	*15,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	167,4	142,2	130,0	130,0	130,0	130,0	130,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	167,4	142,2	150,0	260,0	130,0	130,0	130,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*20,0*	*130,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*
% მშპ-თან							
შემოსავლები							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	25,1%	25,5%	26,0%	25,8%	25,7%	25,7%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	25,2%	25,5%	26,5%	25,9%	25,8%	25,7%	
ცვლილება	*0,1%*	*0,0%*	*0,6%*	*0,0%*	*0,1%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	25,2%	25,1%	25,8%	25,3%	25,1%	25,0%	24,9%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	25,2%	25,1%	25,9%	25,4%	25,6%	25,5%	25,4%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*0,1%*	*0,1%*	*0,5%*	*0,5%*	*0,6%*
არაფინანსური აქტივების კლება							

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,4%	0,8%	0,4%	0,4%	0,3%	0,3%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	0,4%	0,8%	0,7%	0,4%	0,3%	0,3%	
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*0,3%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	0,4%	0,7%	0,6%	0,3%	0,3%	0,3%	0,3%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	0,4%	0,7%	0,6%	0,4%	0,3%	0,3%	0,2%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,1%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*
ფინანსური აქტივების კლება							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,3%	0,4%	0,2%	0,2%	0,2%	0,1%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	0,3%	0,4%	0,2%	0,2%	0,2%	0,2%	
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	0,3%	0,2%	0,2%	0,2%	0,2%	0,1%	0,1%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	0,3%	0,2%	0,2%	0,3%	0,2%	0,1%	0,1%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,2%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*

2020 და 2021 წლებში, საგარეო ვალის აღებაში ასახულია პანდემიის გასამკლავებლად მოზიდული სახსრები. ამასთან, 2022 წელს საგარეო ვალდებულებების შემცირება 2021 წელთან შედარებით დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 2021 წლის განხორციელდა 1.7 მილიარდი ლარის ახალი ევრობონდის გამოშვება ევრობონდების გადაფარვის მიზნით და 2021 წლის საგარეო ვალდებულებების გაზრდილი მოცულობა აღნიშნულით იყო გამოწვეული. შესაბამისად, შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი შემცირებულია. ამასთან, ჯამში ვალდებულებების ზრდა 2023 წელს იზრდება ივლისის პროგნოზთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7) წარმოდგენილია ვალდებულებების ზრდის პროგნოზები 2020-2026 წლებისთვის:

ცხრილი №7 - ვალდებულებების ზრდის პროგნოზები

(მლნ ლარი)

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ვალდებულებების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	7 274,4	5 094,0	3 965,0	3 485,0	3 485,0	3 485,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	7 274,3	4 955,0	4 337,0	3 485,0	3 485,0	3 485,0	
ცვლილება	*-0,1*	*-139,0*	*372,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	7 274,3	5 216,9	4 337,0	3 485,0	3 485,0	3 485,0	3 935,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	7 274,3	5 216,9	3 602,0	3 586,0	3 560,0	3 660,0	5 020,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*-735,0*	*101,0*	*75,0*	*175,0*	*1 085,0*
მ.შ. საშინაო							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	2 010,0	-180,0	1 285,0	1 385,0	1 485,0	1 485,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	2 010,0	-335,0	1 285,0	1 385,0	1 485,0	1 485,0	
ცვლილება	*0,0*	*-155,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	2 010,0	-336,7	1 285,0	1 385,0	1 485,0	1 485,0	1 485,0

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	2 010,0	-336,7	1 260,0	1 357,0	1 460,0	1 560,0	1 620,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*-25,0*	*-28,0*	*-25,0*	*75,0*	*135,0*
მ.შ. საგარეო							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	5 264,3	5 274,0	2 680,0	2 100,0	2 000,0	2 000,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	5 264,3	5 290,0	3 052,0	2 100,0	2 000,0	2 000,0	
ცვლილება	*0,0*	*16,0*	*372,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	5 264,3	5 553,6	3 052,0	2 100,0	2 000,0	2 000,0	2 450,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	5 264,3	5 553,6	2 342,0	2 229,0	2 100,0	2 100,0	3 400,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*-710,0*	*129,0*	*100,0*	*100,0*	*950,0*
% მშპ-თან							
ვალდებულებების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	14,7%	8,9%	6,2%	5,0%	4,6%	4,2%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	14,8%	8,5%	6,7%	4,9%	4,6%	4,2%	
ცვლილება	*0,0%*	*-0,4%*	*0,4%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	14,8%	8,7%	6,2%	4,6%	4,3%	3,9%	4,1%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	14,8%	8,7%	5,0%	4,5%	4,1%	3,9%	5,0%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*-1,2%*	*-0,1%*	*-0,1%*	*0,0%*	*0,9%*
მ.შ. საშინაო							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	4,1%	-0,3%	2,0%	2,0%	2,0%	1,8%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	4,1%	-0,6%	2,0%	2,0%	1,9%	1,8%	
ცვლილება	*0,0%*	*-0,3%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	4,1%	-0,6%	1,8%	1,8%	1,8%	1,7%	1,5%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	4,1%	-0,6%	1,7%	1,7%	1,7%	1,7%	1,6%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*-0,1%*	*-0,1%*	*-0,1%*	*0,0%*	*0,1%*
მ.შ. საგარეო							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	10,7%	9,2%	4,2%	3,0%	2,6%	2,4%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	10,7%	9,0%	4,7%	3,0%	2,6%	2,4%	
ცვლილება	*0,0%*	*-0,2%*	*0,5%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	10,7%	9,2%	4,4%	2,8%	2,4%	2,3%	2,6%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	10,7%	9,2%	3,2%	2,8%	2,4%	2,2%	3,4%
ცვლილება	*0,0%*	*0,0%*	*-1,1%*	*0,0%*	*0,0%*	*0,0%*	*0,8%*

2020-2021 წლების ფაქტიური მონაცემები და ნაწილობრივ 2022 წლის ხარჯვით ნაწილში პროგნოზები ასახავს საქართველოს მთავრობის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსებს. 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გეგმების ნაწილში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა სამინისტროების კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე პროგრამებისა და ქვეპროგრამების გაგრძელებისათვის და ასევე ტრადიციული პროგრამების და რეფორმების აღდგენისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პანდემიის საპასუხო ღონისძიებების დაფინანსების შედეგად, 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდა მიმდინარე ხარჯების მოცულობა და მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 26,2%, ხოლო 2021 წელს 24,7% შეადგინა. 2022 წელს მიმდინარე ხარჯების მოსალოდნელი მოცულობა ჯამში დაგეგმილია 15,6 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 21,6%-ს შეადგენს. 2023 წელს მიმდინარე ხარჯების მოსალოდნელი მოცულობა ჯამში დაგეგმილია 17,0 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 21,3%-ს შეადგენს, ხოლო 2024-2026 წლებში შენარჩუნებულია საშუალოდ იგივე მაჩვენებელზე.

პანდემიის მიუხედავად, 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად არ შემცირებულა კაპიტალური ხარჯების მოცულობა და მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 9,0%, ხოლო 2021 წელს 7,9% შეადგინა. 2022 წელს კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მოსალოდნელი ოდენობა შეადგენს 6,0 მლრდ ლარს, რაც მშპ-ს 8,3%-ს შეადგენს. 2023 წელს კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მოსალოდნელი ოდენობა განისაზღვრება 6,1 მლრდ ლარამდე ოდენობით, რაც მშპ-ს 7.7%-ს შეადგენს. მომდევნო წლებში, ფისკალური კონსოლიდაციის პარალერულად კაპიტალური ხარჯები მცირდება და მშპ-ს 7,0%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №8) წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები 2020-2026 წლებისთვის:

ცხრილი №8 - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები

მლნ ლარი

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ხარჯები							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	12 959,6	14 419,0	14 626,0	15 468,0	16 427,0	17 551,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	12 959,6	14 688,0	14 753,0	15 768,0	16 887,0	18 071,0	
ცვლილება	*0,0*	*269,0*	*127,0*	*300,0*	*460,0*	*520,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	12 959,6	14 767,2	14 979,0	16 012,0	17 317,0	18 611,0	19 971,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	12 959,6	14 767,2	15 609,0	16 972,0	18 364,0	19 872,0	21 457,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*630,0*	*960,0*	*1 047,0*	*1 261,0*	*1 486,0*
კაპიტალური ხარჯები							
არაფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	4 229,4	4 620,0	4 775,0	4 792,0	5 267,0	5 727,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	4 229,4	4 688,0	5 679,0	4 669,0	5 024,0	5 374,0	
ცვლილება	*0,0*	*68,0*	*904,0*	*-123,0*	*-243,0*	*-353,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	4 229,4	4 591,0	5 799,0	5 384,0	5 264,0	5 729,0	6 139,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	4 229,4	4 591,0	5 790,0	5 771,0	5 860,0	6 230,0	6 590,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*-9,0*	*387,0*	*596,0*	*501,0*	*451,0*
ფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	204,0	155,0	250,0	250,0	250,0	250,0	
2022-2025 პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	204,0	155,0	205,0	250,0	250,0	250,0	
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*-45,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	204,0	180,4	205,0	250,0	250,0	250,0	250,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	204,0	180,4	205,0	334,0	250,0	250,0	250,0
ცვლილება	*0,0*	*0,0*	*0,0*	*84,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*
% მშპ-თან							
ხარჯები							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	26,2%	25,2%	23,0%	22,1%	21,6%	21,4%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	26,3%	25,1%	22,8%	22,4%	22,1%	21,8%	
ცვლილება	0,1%	-0,1%	-0,3%	0,2%	0,5%	*0,4%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	26,3%	24,5%	21,5%	21,2%	21,1%	21,0%	20,8%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	26,3%	24,5%	21,6%	21,3%	21,3%	21,3%	21,2%
ცვლილება	0,0%	0,0%	0,1%	0,1%	0,2%	0,3%	0,4%
კაპიტალური ხარჯები							
არაფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	8,6%	8,1%	7,5%	6,9%	6,9%	7,0%	

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2022-2025 პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	8,6%	8,0%	8,8%	6,6%	6,6%	6,5%	
ცვლილება	0,0%	-0,1%	1,2%	-0,2%	-0,4%	*-0,5%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	8,6%	7,6%	8,3%	7,1%	6,4%	6,5%	6,4%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	8,6%	7,6%	8,0%	7,2%	6,8%	6,7%	6,5%
ცვლილება	0,0%	0,0%	-0,3%	0,1%	0,4%	*0,2%*	*0,1%*
ფინანსური აქტივების ზრდა							
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,4%	0,3%	0,4%	0,4%	0,3%	0,3%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	0,4%	0,3%	0,3%	0,4%	0,3%	0,3%	
ცვლილება	0,0%	0,0%	-0,1%	0,0%	0,0%	*0,0%*	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	0,4%	0,3%	0,3%	0,3%	0,3%	0,3%	0,3%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	0,4%	0,3%	0,3%	0,4%	0,3%	0,3%	0,2%
ცვლილება	0,0%	0,0%	0,0%	0,1%	0,0%	*0,0%*	*0,0%*

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეული იყო ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს ეკონომიკის კლება დაფიქსირდა, ხოლო პანდემიაზე რეაგირების ღონისძიებებიდან გამომდინარე, გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, 2020 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა მშპ-ის 8.5%, ხოლო 2021 წელი დაიგეგმა 7.7%-ის ფარგლებში. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ პროგნოზებში, ფისკალურ ზღვრებში დაბრუნების გეგმის შესაბამისად, 2023 წლისათვის გათვალისწინებული იყო „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ნიშნულზე (3%) ჩამოსვლა და დაიგეგმა 2.9%-ის ფარგლებში. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ფისკალური წესების ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების თაობაზე საშუალოვადიანი პროგნოზები მომზადდა 2021-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებთან ერთად. ასევე, 2020-2021 წლებში კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების დროს საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს წარედგინა დამატებით ინფორმაცია დანართის სახით „საქართველოში ახალი კორონავისურის (COVID-19) გავრცელება და მასზე ფისკალური პოლიტიკის პასუხი“. აღნიშნული დანართები თან ახლავს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებს და კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს და გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2021 წლიდან ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულზე სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე, წლის ბოლოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,2%, დაგეგმილ მაჩვენებელთან (7.7%) შედარებით. შესაბამისად დაგეგმილთან შედარებით შესაძლებელი გახდა დეფიციტის კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში ჩამოსვლა განხორციელებულიყო უფრო თანაბარი ტემპით. 2022 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი იყო 4,2 პროცენტის ფარგლებში და 2023 წლისათვის გათვალისწინებული იყო 3 პროცენტზე დაბალ მაჩვენებელზე. განახლებული პროგნოზით, 2022 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი პროგნოზირებულია 3,1 პროცენტის ფარგლებში, ხოლო 2023 წელს, როგორც დაგეგმილი იყო, ჩამოცდება კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს და პროგნოზირებულია 2,9 პროცენტის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის აღდგენა 2021 წლიდან დაიწყო და მშპ-ის რეალური ზრდა განახლებული პროგნოზით 10,4%-ს შეადგენს, 2022 წელს განახლებული პროგნოზით დაგეგმილია 8,5%-იანი, ხოლო შემდგომ 2023-2026 წლებში საშუალოდ 5%-იანი ზრდა.

მიმდინარე ხარჯების ზრდის მიუხედავად (მათ შორის, სახელმწიფო პენსიის ინდექსაცია, ასევე საჯარო სექტორში ანაზღაურების ზრდა) მიუხედავად, 2022 წლიდან ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მშპ-ის 21.3%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდშიც იგივე მაჩვენებლის ფარგლებში, ასევე არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალოდ 7.0%-ის ფარგლებში შენარჩუნებით, 2023 წლისთვის პროგნოზირებულია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 2,9%-

მდე და უბრუნდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული დეფიციტის ზღვრულ ნიშნულს. თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად, მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯები საშუალოვადიან პერიოდში 7%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ბიუჯეტის დეფიციტის და მთავრობის ვალის მაჩვენებლები ამავე კანონით დადგენილი ზღვრული მოცულობების ფარგლებშია. შესაბამისად, 2023 წელს და საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური წესების ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2023 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 301,0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.9%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%). ამასთან, საშუალოვადიან პერიოდის ბოლოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი პროგნოზირებულია 2,1%-ის ფარგლებში;
- 2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 38.9%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.5%-ით – ჯამი: მშპ-ის 38.81% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%). ამასთან, საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 36,9%-მდე ჩამოდის.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, 2023 წლისთვის მისი მოცულობა 2 265,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,8%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს მშპ-ს 2,2%-ით განისაზღვრება.

2020-2026 წლებში ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული დეფიციტის პროგნოზი და მათი შედარება წინა პერიოდის პროგნოზებთან მოცემულია №9 ცხრილში.

ცხრილი №9 - ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზების შედარება

/მლნ ლარი/

დასახელება	წაერთი ბიუჯეტი							სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი						
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
მთლიანი სალდო														
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-4 574,2	-3 980,0	-2 661,0	-1 958,0	-1 914,0	-1 914,0		-4 450,9	-3 971,1	-2 632,0	-1 952,0	-1 863,0	-1 858,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	-4 574,2	-3 968,0	-2 777,0	-1 959,0	-1 929,0	-1 929,0		-4 450,9	-3 928,0	-2 750,0	-1 940,0	-1 923,0	-1 959,0	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	-4 574,2	-3 793,9	-2 405,0	-1 997,0	-1 765,0	-1 923,0	-1 993,0	-4 450,9	-3 731,5	-2 378,0	-1 978,0	-1 759,0	-1 953,0	-2 020,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	-4 574,2	-3 793,9	-2 273,0	-2 191,0	-1 898,0	-2 058,0	-2 093,0	-4 450,9	-3 731,5	-2 246,0	-2 301,0	-1 893,0	-2 088,0	-2 120,0
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)														
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-4 595,9	-3 925,0	-2 796,0	-2 093,0	-2 049,0	-2 049,0		-4 520,3	-4 020,5	-2 792,0	-2 112,0	-2 023,0	-2 018,0	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	-4 610,8	-3 832,1	-2 328,0	-2 252,0	-2 018,0	-2 178,0		-4 525,7	-3 879,5	-2 835,4	-2 070,0	-2 038,0	-2 064,0	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	-4 595,9	-3 662,2	-2 480,0	-2 117,0	-1 885,0	-2 043,0	-2 113,0	-4 505,4	-3 598,3	-2 463,0	-2 108,0	-1 874,0	-2 058,0	-2 125,0
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	-4 595,9	-3 662,2	-2 328,0	-2 265,0	-2 018,0	-2 178,0	-2 213,0	-4 505,4	-3 598,3	-2 276,0	-2 380,0	-2 003,0	-2 198,0	-2 230,0
% მშპ-თან														
მთლიანი სალდო														
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-9,3%	-7,0%	-4,2%	-2,8%	-2,5%	-2,3%		-9,0%	-6,9%	-4,1%	-2,8%	-2,5%	-2,3%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	-9,3%	-6,8%	-4,3%	-2,8%	-2,5%	-2,3%		-9,0%	-6,7%	-4,2%	-2,8%	-2,5%	-2,4%	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	-9,3%	-6,3%	-3,5%	-2,6%	-2,2%	-2,2%	-2,1%	-9,1%	-6,2%	-3,4%	-2,6%	-2,1%	-2,2%	-2,1%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	-9,3%	-6,3%	-3,1%	-2,8%	-2,2%	-2,2%	-2,1%	-9,1%	-6,2%	-3,1%	-2,9%	-2,2%	-2,2%	-2,1%
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა														
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-9,3%	-6,9%	-4,4%	-3,0%	-2,7%	-2,5%		-9,1%	-7,0%	-4,4%	-3,0%	-2,7%	-2,5%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის დეკემბერი)	-9,4%	-6,5%	-3,6%	-3,2%	-2,6%	-2,6%		-9,2%	-6,6%	-4,4%	-2,9%	-2,7%	-2,5%	
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის ივლისი)	-9,3%	-6,1%	-3,6%	-2,8%	-2,3%	-2,3%	-2,2%	-9,1%	-6,0%	-3,5%	-2,8%	-2,3%	-2,3%	-2,2%
2023-2026 პროგნოზი (2022 წლის სექტემბერი)	-9,3%	-6,1%	-3,2%	-2,8%	-2,3%	-2,3%	-2,2%	-9,1%	-6,0%	-3,2%	-3,0%	-2,3%	-2,4%	-2,2%

3. მთავრობის ვალი

მთავრობის ვალი (მლნ ლარი)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
2021-2024 წლების პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	27,365	29,543	32,017	34,355	36,557		
% მშპ-სთან	*54.4%*	*54.2%*	*53.8%*	*53.0%*	*51.9%*		
2022-2025 წლები (2021 წლის დეკემბერი)	29,654	29,905	33,123	35,348	37,413	39,417	
% მშპ-სთან	*60.2%*	*51.1%*	*51.1%*	*50.2%*	*49.0%*	*47.7%*	
2023-2026 წლები (2022 წლის სექტემბერი)	29,613	29,765	28,506	31,008	33,148	35,268	37,288
% მშპ-სთან	*60.1%*	*49.4%*	*39.5%*	*38.9%*	*38.4%*	*37.7%*	*36.9%*

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებლებში ცვლილება გასულ წელს მომზადებულ პროგნოზებთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია 2022 წლის განმავლობაში რეალური ეკონომიკის და მშპ დეფლატორის ზრდის და ასევე ლარის ვალის პორტფელში არსებული ვალუტების მიმართ გამყარების გამო. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით ეკონომიკის რეალური ზრდა მოსალოდნელია 8.5%-ის ნიშნულზე და მშპ დეფლატორის ზრდა 10.5%-ის დონეზე, ეს უკანასკნელი კი აღემატება გასულ წელს მომზადებულ პროგნოზს. 2022 წლის ბოლოსთვის, 2021 წლის დეკემბრის ბოლოსთან შედარებით, ისევ მოსალოდნელია ლარის გამყარება ვალის პორტფელში არსებული ვალუტების მიმართ, რასაც, გაზრდილ ნომინალურ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, დადებითი გავლენა ექნება მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირების მიმართულებით. შესაბამისად, 2022 წლის ბოლოს ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება მოსალოდნელია 39.5%-მდე. ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება პროგნოზირებულია შემდეგ წლებშიც, 2026 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოვა 36.9%-მდე.

მთავრობის ვალის პორტფელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (2021 წლისთვის - 80%), რის შედეგადაც ვალის მაჩვენებლები მოწყვლადია სავალუტო კურსის ნეგატიური შოკების მიმართ. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის განახლებული სტრატეგია 2022-2025 (https://mof.ge/5231) ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირებასთან ერთად, ორიენტირებულია მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებაზე.